5-29
ტფილისი

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის ივნისის 10	№ 14 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 114. კავკასიის მთავარ ქედზე საუღელტეხილო ელექტრო-რკინის-გზის გაყვანის შესახებ.
115. ა/კსფსრ-ში 1932 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების წესის შესახებ.
116. სათბობი მასალის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

114. კავკასიის მთავარ ქედზე საუღელტეხილო ელექტრო-რკინის-გზის გაყვანის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესების თვალსაზრისით ერთი არსებული შემოსავლელი სარკინისგზო გასასვლელი ჩრდილოეთისაკენ დარუბანდით აშკარად საკმარისი არ არის. ამიტომ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური ზრდის გეგმისა და ტემპების განხორციელებისათვის აუცილებლად საჭიროა სატრანსპორტო პრობლემის გადაწყვეტა, რომელი პრობლემაც თანდათან მწვავდება. ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ უაღრესი მნიშვნელობა აქვს საჩქაროდ გაიხსნას ორი შემოსავლელი შემოკლებული სარკინისგზო გასასვლელი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით (ალიათ-ჯულფის და შავიზღვის რკინის გზები) და, ამის გარდა, არსებითი მნიშვნელობა აქვს დამთავრებულ იქნეს მეორე ხუთწლედში მე-3 და ცენტრალური სარკინისგზო გასასვლელი ჩრდილოეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ უმოკლეს მიმართულებით კავკასიის მთავარ ქედზე.

მიური რესპუბლიკების და ოლქების სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოებთან, აგრეთვე რაიონებში—სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან—მუდამ მომქმედი საუწყებათაშორისო სააღნუსხვო-საკონტროლო კომისიები, საგეგმო, საღნუსხვო-სასტატისტიკო, საადგილმამულო და დამმზადებელი ორგანოებისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შედგენილობით.

2. დაევალოს საღნუსხვო-საკონტროლო კომისიებს—შეამოწმონ და გააზუსტონ ცნობები თესვისა, მოსავლის პირის შეფასებისა და აღებული მარცვლეული, ტეხნიკური, საქონლის საკვები, ბაღ-ბოსტნეული და სხვა კულტურების საერთო რაოდენობის შესახებ—მომქმედი ოპერატიული ანგარიშგების საფუძველზე.

3. უფლება მიეცეს საღნუსხვო-საკონტროლო კომისიებს—აძლიონ პასუხისგებაში სასამართლო წესით ოპერატული ანგარიშგების ცნობების დამახინჯებაში დამნაშავე პირნი.

4. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დაამტკიცოს საღნუსხვო-საკონტროლო კომისიების დებულება.

5. ნათესი ფართობების ოდენობის სრული და ზედმიწევნითი აღნუსხვის უზრუნველსაყოფად მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს დოკუმენტაციით ცნობები თესვის შედეგების შესახებ, რისთვისაც მიღებულ უნდა იქნეს შემოწმებული საანგარიშო ცნობები თესვის შედეგების შესახებ თვითეული საბჭოთა მეურნეობისა, კოლექტიური მეურნეობისა, სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობისა და სხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების ხაზით, და რისთვისაც სასოფლო საბჭოებმა უნდა შეადგინონ მეურნეობითი სიები ინდივიდუალური ნათესების (კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა) ხაზით.

6. ნათესი ფართობების აღნუსხვის მუშაობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 10 დღის ვადისა თესვის დამთავრების დღიდან, ჯამების გაკეთებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოების ორგანოებში.

7. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს—დაამტკიცოს ნათესი ფართობების აღნუსხვის და მასალის დამუშავების საორგანიზაციო გეგმა.

8. სოციალისტურ სექტორში მიღებული მოსავლის ზედმიწევნითი აღნუსხვის უზრუნველსაყოფად და ამ მოსავლის უყაირათოდ ხარჯვასთან და ცალკეულ შემთხვევებში პირდაპირ გატაცებასთან ბრძოლის მიზნით, დაევალოს ყველა საბჭოთა მეურნეობას, კოლექტიურ მეურნეობას და სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობას—აწარმოოს მიღებული პროდუქციის აღნუსხვა მოსავლის აღების კამპანიის დაწყებიდანვე (მოსავალმოჭრილი ფართობის და მიღებული ზვინების აღნუსხვა, სალეწავებიდან გამოსული მარცვლეულის აღნუსხვა, შემსყიდველ პუნქტებში და საწყობებში ჩაბარებული მარცვლეულის აღნუსხვა, ტეხნიკური კულ-

ტურების გადამუშავების ყველა სტადიისათვის აღნუსხვის საქმის დაყენება და სხვა მისთ.).

9. რადგანაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სრული ცნობების მიღება ფაქტიურად აღებული მოსავლის თაობაზე შეუძლებელია ყველა საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დამთავრებამდე, მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მეშვეობით და საალნუსხვო-საკონტროლო კომისიების წარმომადგენელთა აუცილებელი მონაწილეობით, მოსავლის რაოდენობის წინასწარი გამოანგარიშება ამორჩევითი ნალეწის მიხედვით.

10. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს შეადგინოს ინსტრუქცია ამორჩევითი ნალეწის მიხედვით მოსავლის რაოდენობის გამოანგარიშების ჩატარებისათვის.

11. მე-10 მუხლში აღნიშნული ინსტრუქციის აღსრულება სავალდებულოა ყველა საბჭოთა მეურნეობისა, კოლექტიური მეურნეობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახლხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ივნისის 8.
№ 483.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

118. კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკის ამიერკავკასიის კონტორის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 5-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 31 №-ი, მუხ. 191) მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა მოეწყოს:

ა) ქ. ტფილისში კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების საკავშირო ბანკის ამიერკავკასიის კონტორა—კოოპერაციის ყველა სისტემის, გარდა საბინაო კოოპერაციისა, ყველა სახის კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების საკითხთა მოწესრიგებისა და დაგეგმვის ფუნქციებით; ამავე დროს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტორას მიეცეს აგრეთვე ფუნქციები აღნიშნული ბანკის განყოფილებისა საქართველოს სსრ-ში;

ბ) აღნიშნული ბანკის განყოფილებები აზერბაიჯანის სსრ-ში—ბაქოში და სომხეთის სსრ-ში—ქ. ერევანში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ივნისის 8.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

119. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. ივნისის 11.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს შესახებ.

I. ზოგადი დებულება

1. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველო სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სსრკ-ის სახალხო სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს ამიერკავკასიის ორგანოა, რომელიც განაგებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე აღნუსხვისა და სტატისტიკის საქმეს სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს ხელმძღვანელობით და უშუალო ქვემდებარეობით.

2. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ორგანოებია:

ა) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან არსებული ხახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოები;

ბ) აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან არსებული სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამართველოები;

გ) სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან არსებული სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ინსპექტურები.

ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს უშუალოდ ექვემდებარებიან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოები, რომელნიც მოქმედობენ მისი უშუალო ხელმძღვანელობით და ხელმძღვანელობას უწევენ ქვემდგომი სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოების მუშაობას ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქებში და ინსპექტურების მუშაობას რაიონებში.

ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ორგანოები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში, გარდა სახალხო-სამეურნეო ინსპექტურებისა რაიონებში და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილ ქალაქებში, არსებობენ სათანადო სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან.

3. სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს დირექტივები და დავალებები სავალდებულოა აღსასრულებლად ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოსა და მისი ორგანოებისათვის, აგრეთვე უწყებებისა და ორგანიზაციების სააღნუსხვო-სასტატისტიკო ორგანოებისათვის; ამ დირექტივებისა და დავალებების მოქმედება ა/კსფსრ ტერიტორიაზე შეიძლება შეჩერებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს დირექტივები და დავალებები აშკარად არ შეესაბამებიან კავშირის კონსტიტუციას, კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობას; ასეთი შეჩერება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ცენტრალური სამმართველოს უფროსს.

ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს დადგენილებები, დირექტივები და დავალებები აღნუსხვისა და სტატისტიკის საკითხების თაობაზე სავალდებულოა სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ქვემდგომი ორგანოებისათვის და აგრეთვე ყველა ფედერატიული უწყებისა და ორგანიზაციისათვის (მათ შორის საზოგადოებრივისათვისაც).

ამისდაშესაბამისად ფედერატიული უწყებებისა და ორგანიზაციების აღნუსხვის და სტატისტიკის სექტორები (სამმართველოები და განყოფილებები), ექვემდებარებიან-რა სათანადო უწყების თუ ორგანიზაციის ოპერატიულ ხელმძღვანელობას, მოვალენი არიან აღასრულონ ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს დირექტივები და დავალებები; უწყებისა თუ ორგანიზაციის მიერ ამ დირექტივების და დავალებების განპროტესტება არ აჩერებს მათ აღსრულებას.

4. ა/კსფსრ უწყებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან, ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მოთხოვნისამებრ, წარადგინონ მასალები ყველა სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოს ხაზით, რა სტადიაშიაც უნდა იყოს მისი დამუშავება.

ა/კსფსრ უწყებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან წარუდგინონ ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ყველა მათ მიერ გამოქვეყნებული სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოს და მასალის ცალები ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოსთან შეთანხმებული რაოდენობით.

5. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველო წარუდგენს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ამ უკანასკნელის მოთხოვნისამებრ, საჭირო სააღნუსხვო-სასტატისტიკო ცნობებს და მასალებს თავისი სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების გეგმის მოცულობით.

შენიშვნა. გეგმით გაუთვალისწინებელი სამუშაოები ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს შეუძლიან აწარმოოს ა/კსფსრ მთავრობის დავალებით მხოლოდ ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე, იმ პირობით, რომ ამ სამუშაოების წარმოება უზრუნველყოფილ იქნეს სააღნუსხვო-სასტატისტიკო პერსონალით.

6. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველო და მისი ორგანოები ინახებიან საერთო-საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე, სათანადო წესით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა, სტრუქტურისა და შტატების თანახმად.

ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს აქვს კრედიტების დამოუკიდებლად განკარგულების უფლება.

7. ა/კსფსრ სახალხო სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს სათავეში სდგანან სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილენი. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს უფროსთან არსებობს კოლეგია.

ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს უფროსს, მის მოადგილეებს და უფროსთან არსებულ კოლეგიას ჰნიშნავს ცენტრალური სახალხო სამეურნეო აღნუსხვის სამმართველო ა/კსფსრ მთავრობასთან შეთანხმებით და ამტკიცებს ეს უკანასკნელი.

აღნიშნული ხელმძღვანელი მომუშავენი არ შეიძლება გადაყენებულ იქნენ სსრკ-ის ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს თანხმობის გარეშე. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს უფროსი იმავე დროს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა.

8. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს უფლება აქვს დამოუკიდებლად შეიტანოს ა/კსფსრ მთავრობის ორგანოებში პროექტები, წინადადებები, მოხსენებები და სხვ. აღნუსხვასთან და სტატისტიკასთან დაკავშირებული საკითხების გამო.

II. ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

9. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

ა) სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სოციალისტური აღნუსხვის სისტემის განმტკიცება, როგორც სამეურნეო ხელმძღვანელობის დაგეგმვის, სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების და სამეურნეო ანგარიშის განხორციელების შემოწმების უაღრესი მნიშვნელობის იარაღისა;

ბ) ცენტრალიზებული—სსრკ-ის ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს დირექტივების საფუძველზე—ხელმძღვანელობა ა/კსფსრ საალნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციის სფეროში;

გ) ხელმძღვანელობა და მუშაობის ჩატარება პირველადი აღნუსხვის და ანგარიშგების მოწყობისა და რეკონსტრუქციის ხაზით სამეურნეო ხელმძღვანელობის ამოცანების შესაბამისად;

დ) ღონისძიებათა დამუშავება და განხორციელება უწყებათა და საწარმოთა საალნუსხვო-სასტატისტიკო მუშაობის განმტკიცების ხაზით;

ე) სისტემატიური მეთვალყურეობა სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების მსვლელობისათვის;

ვ) სასტატისტიკო-ეკონომიური სამუშაოების განხორციელება, რამაც უნდა გააშუქოს სოციალისტური მშენებლობა (სოციალისტური და ტეხნიკური რეკონსტრუქციის საკითხები, თვისებითი მაჩვენებლები, სახალხო მეურნეობის ბალანსის სამუშაოები და სხვა მისთ.); სახალხო მეურნეობის დინამიკის მასალების დამუშავება და სისტემატიზაცია;

ზ) ცალკეული სასტატისტიკო სამუშაოების პუბლიკაცია და პერიოდული ორგანოების გამოცემა (ჟურნალები, ცნობარები და სხვა მისთ.) არსებული წესისამებრ;

თ) საალნუსხვო-სასტატისტიკო ცოდნისა და სოციალისტური განვითარების შესახები ცნობების ყოველმხრივი პოპულარიზაცია.

10. ზემოდ ჩამოთვლილი ძირითადი ამოცანების შესაბამისად ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ეკისრება:

ა) შეიმუშაოს ერთიანი სოციალისტური აღნუსხვის მეთოდოლოგიის საკითხები (მთელი სახალხო-მეურნეობის აღნუსხვის მაჩვენებელთა სისტემისა და რეკონსტრუქციის მეთოდოლოგიური საფუძვლების გაზუსტების საკითხები, პირველადი აღნუსხვის სისტემის საკითხები სახალხო-სამეურნეო დაგეგმვისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის მოთხოვნებისა და ამოცანების შესაბამისად) და წარუდგინოს სსრკ-ის ცენტრალურ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს დასამტკიცებლად პროექტები და განზრახულებანი ამ საკითხების გამო;

ბ) მოაწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ქვემდებარე რესპუბლიკანური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოებისა და ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი უწყებებისა და ორგანიზაციების საალნუსხვო-სასტატისტიკო ორგანოების მეთოდოლოგიურ

მუშაობას სსრკ-ის ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მიერ მეთოდოლოგიის საკითხების თაობაზე გაცემული დირექტივების საფუძველზე და შესაბამისად;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს და ჩაატაროს საწარმოსა და ქვედა ორგანიზაციებში პირველადი ადნუსხვის სამუშაოები სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხაზით;

დ) ჩაატაროს, სსრკ-ის ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, საერთო-სამეურნეო, სადარგთაშორისო და სარაიონოშორისო ხასიათის დამოუკიდებელი სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოები, ამორჩევითი გამოკვლევები და აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სამუშაოები (აღწერა, მონოგრაფიები და სხვა მისთ.);

ე) შეადგინოს ამიერკავკასიის სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების გეგმა—სადარგო და სახალხო-სამეურნეო დაგეგმისათვის საჭირო ყველა იმ სამუშაოს ჩართვით, რასაც ასრულებენ ა/კსფსრ ცალკეული უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; შეადგინოს უწყებებისა და ა/კსფსრ სახალხო სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების პუბლიკაციის ამიერკავკისიის გეგმა და წარუდგინოს ეს გეგმები სსრკ-ის ცენტრალურ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს—სააღნუსხვო-სასტასტიკო სამუშაოებისა და პუბლიკაციის საერთო-საკავშირო გეგმებში ჩასართავად;

ვ) განიხილოს და დაამტკიცოს ამიერკავკასიის უწყებებისა და ორგანიზაციების საღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოების პროგრამები და ფორმები (მაჩვენებლები, ანგარიშგება, დამუშავების სისტემა, გამოანგარიშების მეთოდოლოგია და სხვა მისთ.) იმ უფლებათა ფარგლებში, რაც მინიჭებული აქვს სსრკ-ის ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებული დებულებით სააღნუსხვო-სასტატისტიკო სამუშაოთა დამტკიცების წესისამებრ; განსაზღვროს სახელმწიფო ორგანოებისა და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების მიერ საუწყებო და უწყების-გარეშე ანგარიშგების წარდგენის წესი;

შენიშვნა. ყოველგვარი მასსური გამოკვლევის ჩატარება შეიძლება მხოლოდ სსრკ-ის ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებით;

ზ) აწარმოოს სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების მიმდინარე აღნუსხვა და შეასრულოს სათანადო საჯუმლო სამუშაოები;

თ) აწარმოოს სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის სამუშაოები;

ი) ხელმძღვანელობა გაუწიოს აღნუსხვის სისტემის მექანიზაციას და ტეხნიკის უფრო მაღალ საფეხურზე გადატანას; შეადგინოს აღნუსხვის მექანიზაციისა და გარდაქმნის პერსპექტიული და მიმდინარე გეგმები და წარუდგინოს სსრკ-ის ცენტრალურ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს თავისი განზრახულებანი და პროექტები ამ საკითხების გამო;

კ) მოაწყოს საწარმოსა და სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში აღნუსხვის მთლიანი მექანიზაციის საცდელი საქმე; მოაწყოს სანიმუშო საანგარიშო

ფაბრიკები სსრკ-ის ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად;

ლ) მოაწყოს სხვადასხვა საწარმოში, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, აღნუსხვაში ახალ სისტემათა და უფრო რაციონალურ ტექნიკურ ხერხთა გამოყენების საცდელი საქმე;

მ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა სრულიად საკავშირო შენაერთის „სოიუზორგუჩოტ"-ის ამიერკავკასიის ფილიალს; დაამტკიცოს წინასწარ მისი პერსპექტიული და წლიური ოპერატიული გეგმები ა/კსფსრ ყველა საწარმოსა და დაწესებულებისათვის საანგარიშო გაწყობილობისა, მანქანებისა, ხელსაწყოებისა და საანგარიშო ტექნიკის სხვა საგნების მიწოდებისათვის; ხელმძღვანელობა გაუწიოს აღნუსხვის რეკონსტრუქციის პრაქტიკულ სამუშაოებს;

ნ) გაუწიოს საორგანიზაციო-მეთოდოლოგიური და ოპერატიული ხელმძღვანელობა ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს და მისი ორგანოების გამგებლობაში მყოფ მექანიზირებული აღნუსხვის სადგურებს და—საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ა/კსფსრ უწყებებისა და ორგანიზაციების მექანიზირებულ აღნუსხვის საანგარიშო სადგურებს;

ო) მოაწყოს, სსრკ-ის ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, სამეცნიერო-საკვლევო და სამეურნეო დაწესებულებანი და საწარმონი—სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში აღნუსხვის სრულყოფილი სისტემისა და ტექნიკის შთანერგვისათვის საჭირო სამუშაოების პრაქტიკულად განხორციელების მიზნით;

პ) შეიმუშაოს დ- განახორციელოს ღონისძიებანი სააღნუსხვო-სასტატისტიკო სპეციალობის კადრების მოსამზადებლად, კერძოდ—მექანიზირებული აღნუსხვის მომუშავეთა კადრების შესაქმნელად; მოაწყოს აღნუსხვისა და სტატისტიკის სპეციალური სასწავლებლები, ფაკულტეტები და კურსები;

ჟ) გაუწიოს ხელმძღვანელობა, ინსტრუქტირება და კონტროლი აღნუსხვის მდგომარეობის და სასტატისტიკო სამუშაოების შესრულების საქმეს და შეამოწმოს არსებითად ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ორგანოებისა და ა/კსფსრ უწყებებისა და ორგანიზაციების აღნუსხვისა და სტატისტიკის სექტორების მუშაობა;

რ) მოიწვიოს არსებული წესისამებრ თათბირები და ყრილობები ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს კომპეტენციის საკითხებისათვის;

ს) მოაწყოს სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

11. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ცალკეული სასტრუქტურო ერთეულების ფუნქციები განისაზღვრება სამმართველოს უფროსის მიერ დამტკიცებული დებულებებით ამ ერთეულების შესახებ.

III. ინსტრუქცია.

12. აღნიშნულ ამოცანათა განსახორციელებლად ა/კსფსრ სახალხო სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს შედგენილობაში არსებობენ სათანადო სექტორები (საორგანიზაციო-საადმინისტრაციო, სადარგო და სინტეტიური) თანახმად სამმართველოს სტრუქტურისა, რასაც ამტკიცებს სსრკ-ის ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველო.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

120. სარეწაო-კოოპერატიული არტელების წევრთა ზოგიერთი კატეგორიისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების მინიჭების შესახებ; სასოფლო საგადასახადო კომისიების შედგენილობის შევსების შესახებ და „1932 წელს ა/კსფსრ-ში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების წესის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 20-ის დადგენილებისათვის მე-7 მუხლის შენიშვნისა და 23 მუხლის დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „1932 წელს ა/კსფსრ-ში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების წესის შესახებ“ გამოცემული 1932 წ. მაისის 20-ის დადგენილების მე-7 მუხლს („ზარია ვოსტოკა“-ს 117 №-ი 1932 წ. მაისის 21-სა) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** განთავისუფლებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან სარეწაო-კოოპერატიული არტელების იმ წევრთა შემოსავალი, რომელნიც თავიანთ პროდუქციას არტელს აბარებენ და რომელნიც მოსაქმეობენ შემდეგ რეწაობაში: ტყე-ქიმიურისა, ხის ყოველგვარი დამუშავებისა, საჭურჭლე ნაკეთობათა წარმოებისა, ყოველგვარი საშენი მასალის წარმოებისა და ხე-ტყის დამზადების რეწაობაში“.

2. 23 მუხლის მე-2 აბზაცი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სასოფლო საგადასახადო კომისიის წევრებად არიან: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, საგლეხო საურთიერთო დახმარების კომიტეტის თავმჯდომარე, სოფლის ყრილობაზე არჩეული პირი, კოლექტიური მეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე და ღარიბთა ჯგუფის წარმომადგენელი, ხოლო იმ რაიონებში, სადაც შინამრეწველობა თვალსაჩინოდ არის განვითარებული,—აგრეთვე ადგილობრივი სარეწაო-კოოპერატიული არტელის წარმომადგენელი“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ხვანიძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. ივნისის 20.
№ 484
ტფილისი.

მთავლიტი—1962. სახკომსაბჭოს სტამბი. დაკვეთა—1178. ტირაჟი—1400.